საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1/438

31 დეკემბერი 2010 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის „წნორის კოლეჯის“ მიერთების გზით სტუდენტების საჯარო სამართლის იურდიული პირის – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხვის, წნორის ყოფილი კოლეჯის ტურიზმის ფაკულტეტად რეორგანიზაციის და მასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 19 ნოემბრის №987-ე ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურდიული პირის – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 9 ნოემბრის №343 დადგენილებისა და „აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, სტუდენტებისა და პროფესორ მასწავლებლების რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 15 ოქტომბრის №860 ბრძანების მე-4 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 8 დეკემბრის ოქმი №4 გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სსიპ – წნორის კოლეჯის, სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტთან მიერთების საფუძველზე წნორის ყოფილი კოლეჯის სტუდენტები ჩარიცხულ იქნან თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში.
2. წნორის ყოფილი კოლეჯის ბაზაზე შეიქმნას ტურიზმის ფაკულტეტი.
3. ტურიზმის ფაკულტეტზე დარჩეს ტურიზმის მიმართულების პროფესიული და საბაკალავრო პროგრამები.

4. რეორგანიზაციამდე არსებული ყველა სხვა პროფესიული და საბაკალავრო მიმართულებების სტუდენტები შიდა მობილობის წესით გადაყვანილ იქნენ უნივერსიტეტის შიგნით შესაბამის ფაკულტეტებზე.
5. დაევალოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს (დ. მჭედლიშვილი), სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახურთან (ჟ. ყარაულაშვილი) ერთად წნორის ყოფილი კოლეჯის ყველა სტუდენტთან ხელშეკრულების გაფორმება და შიდა მობილობის უზრუნველყოფა.
6. დაევალოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (ჰ. რაზმაძე) ტურიზმის ფაკულტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული და სასწავლო დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგის მომზადება.
7. დაევალოს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს (ც. დათიშვილი) ტურიზმის ფაკულტეტის საშტატო განრიგის მიხედვით მოახდინოს აკადემიურ, ადმინისტრაციულ და სასწავლო დამხმარე პერსონალთან ხელშეკრულებების გაფორმება.
8. დაევალოს უნივერსიტეტის საფინანსო სამსახურს (მ. მაისურაძე) მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე წნორის ყოფილი კოლეჯის აქტივებისა და პასივების ასახვა უნივერსიტეტის ანგარიშზე.
9. დაევალოს საინფორმაციო ცენტრს (ნ. ცქიტიშვილი) ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება.
10. დაევალოს უნივერსიტეტის საერთო განყოფილებას (გ. ბაწელაშვილი) ბრძანების ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა.
11. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს რექტორის მოადგილეს დავით მახაშვილს.
12. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

საფუძველი: საქართველოს მთავრობის 2010 წლის 9 ნოემბრის №343 დადგენილება და უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება, ოქმი №4, 8 დეკემბერი 2010 წელი.

უნივერსიტეტის რექტორი თინათინ ჯავახიშვილი

ბრძანების პროექტის მომზადებაზე პასუხისმგებელი
პირი პ. გოცირიძე – ტელ: 8250 7 06 11